საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01– 08/65

ქ. ბათუმი 01- ნოემბერი, 2016 წ

ბსუ-ს განვითარების სტრატეგიული გეგმების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 16 დეკემბრის N164 დადგენილების, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015-2020 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 16 დეკემბრის N165 დადგენილების, ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 31 ოქტომბრის N1301181 სამსახურებრივი ბარათის, **განათლების ხარისხის განივთარების ეროვნული ცენტრის 2016 წლის 28 ოქტომბრის კორესპონდენციის** (MES 81601292963) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს მისიიდან გამომდინარე, ბსუ-ს განვითარების **გრძელვადიანი სტრატეგიული შვიდწლიანი (2017-2023 წლების), საშუალოვადიანი ოთხწლიანი (2017-2020 წლების)** და **1-წლიანი (2017 წლის) სამოქმედო გეგმების** შემუშავების მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი დანართი 1-ის შესაბამისად.
2. კომისიამ თავდაპირველად განსაზღვროს შესასრულებელი საკითხების ზუსტი ჩამონათვალი, სამუშაო ჯგუფების შემადგენლობა და მათ საქმიანობაზე პასუხისმგებელი ჯგუფის წევრები.
3. **კომისიის მუშაობა დასრულდეს არაუგვიანეს 2016 წლის 6 დეკემბრისა,** გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე საჯარო განხილვისა და წინადადებების წარმოდგენის მიზნით, რის შემდეგ წარდგენილი იქნეს აკადემიური საბჭოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცებისთვის.
4. ფაკულტეტების დეკანები უფლებამოსილი არიან ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმების შექმნის, ფაკულტეტის საბჭოზე განხილვისა და 2016 წლის ბოლოს აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარმოდგენის მიზნით, მათ მიერ გამოცემული ბრძანებების შესაბამისად შექმნან სამუშაო ჯგუფები.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე, დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, ფაკულტეტებს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და სამუშაო ჯგუფის წევრებს.
6. ბრძანება ძალაშია 2016 წლის 1 ნოემბრიდან.

რექტორი,

ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

დანართი 1

ბსუ-ს განვითარების გეგმების შემუშავების სამუშაო ჯგუფი

1. მერაბ ხალვაში-რექტორი **(კომისიის თავმჯდომარე)**
2. ინგა შამილიშვილი- რექტორის მოადგილე
3. ნათელა წიკლაშვილი- რექტორის მოადგილე
4. ჯემალ ანანიძე- ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
5. ანზორ ბერიძე- ხარისხი უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
6. მარინა გიორგაძე- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
7. მარინა ქორიძე- საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი
8. ადამ მახარაძე-იურიდიული ფაკულტეტის დეკანი
9. ვლადიმერ ღლონტი- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი
10. როსტომ ბერიძე- ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი
11. მადონა მიქელაძე- განათლების ფაკულტეტის დეკანი
12. გაიოზ ფარცხალაძე- ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი
13. გულადი ფარტენაძე- ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
14. ქეთევან ბერიძე- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
15. ჟანა ჯიბლაძე-იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი
16. რევაზ ოკუჯავა-სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელი
17. გურამ გვარიშვილი -საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი
18. ზვიად ბერაძე - საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი
19. ნინო დოლიძე - პრესსამსახურის უფროსი
20. ნინო ინაიშვილი- ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
21. მარიამ მეტრეველი- ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
22. ალეკო კალანდია-აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
23. დავით კონცელიძე-ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი
24. გიორგი გაბაიძე- საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტი
25. ნიკა სვანიძე- იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი
26. ირაკლი ყურუა-ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი
27. თეა ქოიავა-საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დოქტორანტი
28. გიორგი ქათამაძე-ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი
29. ლელა თურმანიძე - ბსუ-ს ბიბლიოთეკის დირექტორი